ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
საფინანსო-საბიუჯეტო კომისია

დასკვნა:**დ03. 3723165001**
თარიღი:**14/06/2023**

დ ა ს კ ვ ნ ა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტში შესატანი ცვლილებებისა და დამატებების შესახებ

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ მიმდინარე წლის 14 ივნისს განიხილა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტში მერიის მიერ წარმოდგენილი შესატანი ცვლილებებისა და დამატებების პროექტი.

კომისია აღნიშნავს:

_წარმოდგენილი პროექტით, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელები და შემოსულობები (გასული წლის ნაშთისა და ვალდებულებების კლების ჩათვლით) 2023 წლის კორექტირებული ბიუჯეტით განსაზღვრულ მაჩვენებელთან შედარებით იზრდება 7316,2 ათასი ლარით. ეს ნიშნავს, რომ დაგეგმილი 62957,3 ათ ლარის ნაცვლად, ბიუჯეტი მიმდინარე პერიოდისათვის განისაზღვრა 70273,5 ათასი ლარით;

_ბიუჯეტის გადასახდელების ზრდის მაჩვენებელი სრულ თანხვედრაშია შემოსულობების დაგეგმილ მოცულობებთან;

_ბიუჯეტის პრიორიტეტის „ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია“ დაფინანსება იზრდება 5635,0 ათასი ლარით და შეადგენს 40116,7 ათას ლარს, რაც მთლიანი გადასახდელების 57,1%-ია. აღნიშნული ნიშნავს, რომ ეს პრიორიტეტი ბიუჯეტის მთლიანი გადასახდელების მნიშვნელოვანი ნაწილია და იგი კვლავ რჩება მუნიციპალიტეტის განვითარების ძირითად მიმართულებად;

_ ცვლილებების პროექტში განსაზღვრულია განათლების დაფინანსების ზრდა 1531,3 ათასი ლარით. ცვლილების შედეგად ამ პრიორიტეტის დაფინანსება შეადგენს 9365,4 ათას ლარს

_კულტურული ღონისძიებების ორგანიზებისა და ხელშეწყობის ქვეპროგრამა იზრდება საკუთარი შემოსავლებიდან 100,0 ათასი ლარით;

_პროექტი ითვალისწინებს როგორც საკუთარი შემოსავლებიდან, ასევე შიდამუნიციპალური გადანაწილების შედეგად, სპორტული კლუბების ხელშეწყობას(50,0 ათ ლარით რაგბის განვითარების კავშირის მხარდაჭერას და 52,7 ათ ლარით საფეხბურთო კლუბი „მერცხალის“ დაფინანსების ზრდას);

_ ცვლილებების პროექტით მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის პროგრამაში საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დაფინანსება იზრდება 17,0 ათ ლარით;

_ პროექტი წარმოდგენილია საბიუჯეტო კოდექსით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად.

ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტში შესატანი ცვლილებებისა და დამატებების პროექტის გატანა საკრებულოს სხდომაზე, მისი განხილვა-დამტკიცების მიზნით.

გელა ჩავლეშვილი

საფინანსო-საბიუჯეტო კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი